




საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი



ბრძანება № 17/19

" 05 " თებერვალი 2019 წ.

ქ. თბილისი

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ზოგადი უნარების გამოცდაზე რეგისტრაციის ვადებისა და გამოცდის ჩატარების თარიღის განსაზღვრის, გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრის განთავსების ადგილის შერჩევის თაობაზე“ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის 2/19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის 3⁶ პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ზოგადი უნარების გამოცდაზე რეგისტრაციის ვადებისა და გამოცდის ჩატარების თარიღის განსაზღვრის, გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრის განთავსების ადგილის შერჩევის თაობაზე“ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის 2/19 ბრძანების მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების

ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრად განისაზღვროს სსიპ - ქალაქ თბილისის N161 საჯარო სკოლა, მის.: ქ. თბილისი, იოსებidis ქუჩა N50.

2. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

3. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კანცელარიას ამ ბრძანების გაცნობა ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისთვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურისათვის, ლოჯისტიკისა და იურიდიული სამსახურებისათვის.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).


დირექტორი



სოფიო გორგოძე



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი



ბრძანება № 2119

" 03 "

იანვარი

2019წ.

ქ. თბილისი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ზოგადი უნარების გამოცდაზე რეგისტრაციის ვადებისა და გამოცდის ჩატარების თარიღის განსაზღვრის, გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრის განთავსების ადგილის შერჩევის თაობაზე

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის პირებისათვის ზოგადი უნარების გამოცდის (შემდგომში - გამოცდა) ჩატარების მიზნით,

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის 3⁴ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა მიერ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების პროცედურების და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის №1/19 ბრძანების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ზოგადი უნარების გამოცდაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დაინტერესებულ პირთა რეგისტრაცია დაიწყო 2019 წლის 21 იანვრის 10:00 საათიდან და დასრულდეს 2019 წლის 4 თებერვლის 18:00 საათზე.
2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2019 წლის 11 თებერვალი.
3. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრად განისაზღვროს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის შენობის მე-5 სართულზე განთავსებული საგამოცდო სივრცე (საკონფერენზიო დარბაზი).
4. პირები რომლებიც ამ ბრძანებით განსაზღვრული გამოცდის დროს საჭიროებენ სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს/პირობებს, ვალდებული არიან სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში არაუგვიანეს 2019 წლის 1 თებერვლის 18:00 საათისა წარმოადგინონ შესაბამისი სამედიცინო ცნობა (ფორმა №100) რაიმე/შესაბამისი ტიპის ფუნქციონალური დარღვევის თაობაზე.
5. პირებმა, რომელთაც ამ ბრძანებით განსაზღვრული გამოცდის დროს სპეციფიკური საგამოცდო გარემოს/პირობების შექმნის საჭიროება/სპეციალური საჭიროება წარმოეშვათ გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდგომ და სურთ სპეციფიკური საგამოცდო გარემოს/პირობების შექმნა, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს სპეციალური საჭიროების წარმოშობიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უნდა წარმუდგინონ შესაბამისი მოთხოვნა და სამედიცინო ცნობა (ფორმა №100) რაიმე/შესაბამისი ტიპის ფუნქციონალური დარღვევის თაობაზე.
6. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთა მიერ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ზოგადი უნარების გამოცდაზე რეგისტრაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
7. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს და ლოჯისტიკის სამსახურს უზრუნველყონ ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული საგამოცდო ცენტრისა და მასში განსათავსებელი საგამოცდო სექტორების გამოცდისთვის მომზადების პროცესის ორგანიზება.
8. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის სამსახურს ამ ბრძანების მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მათი განხილვის/მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ორგანიზება.

9. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის მობილიზება და მათთან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.

10. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

11. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კანცელარიას ამ ბრძანების გაცნობა ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის, ადამიანური რესურსების მართვის, ლოჯისტიკისა და იურიდიული სამსახურებისათვის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურისათვის.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).


დირექტორი

სოფიო გორგოძე





საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი



ბრძანება № 4119

"03" იანვარი 2019წ.

ქ. თბილისი

“უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ზოგადი უნარების გამოცდაზე რეგისტრაციის ვადებისა და გამოცდის ჩატარების თარიღის განსაზღვრის, გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრის განთავსების ადგილის შერჩევის თაობაზე” სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის 2/19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება “უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ზოგადი უნარების გამოცდაზე რეგისტრაციის ვადებისა და გამოცდის ჩატარების თარიღის განსაზღვრის, გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო ცენტრის განთავსების ადგილის შერჩევის თაობაზე” სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის 2/19 ბრძანების მე-4 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პირები რომლებიც ამ ბრძანებით განსაზღვრული გამოცდის დროს საჭიროებენ სპეციფიკურ საგამოცდო გარემოს/პირობებს, ვალდებულნი არიან სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში არაუგვიანეს 2019 წლის 4 თებერვლის 18:00 საათისა წარმოადგინონ შესაბამისი სამედიცინო ცნობა (ფორმა №100) რაიმე/შესაბამისი ტიპის ფუნქციონალური დარღვევის თაობაზე.“.

2. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ამ ბრძანებით

გათვალისწინებული ინფორმაციის სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

3. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კანცელარიას ამ ბრძანების გაცნობა ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურისათვის, ლოჯისტიკისა და იურიდიული სამსახურებისათვის.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).


დირექტორი

სოფიო გორგოძე





საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი



ბრძანება № 20/19

"06" თებერვალი 2019 წ.

ქ. თბილისი

“უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების პროცედურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ” სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის 1/19 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის N93 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება “უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების პროცედურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ” სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 იანვრის 1/19 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ტესტირებისთვის გამოყოფილი დრო შეადგენს 3 საათს.“;

ბ) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) აპლიკანტი, რომელიც საგამოცდო ცენტრში გამოცხადდება საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათის ან/და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე - ტესტირებაზე დაშვებული იქნება მხოლოდ მისი იდენტიფიცირების შემთხვევაში.“.

2. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

3. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კანცელარიას ამ ბრძანების გაცნობა ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურისათვის, ლოჯისტიკისა და იურიდიული სამსახურებისათვის.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).


დირექტორი

სოფიო გორგოძე





საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი



ბრძანება № 2/19

" 03 " იანვარი 2019წ.

ქ. თბილისი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების პროცედურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის პირებისათვის ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების მიზნით,

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის 3², 3³, 3⁴ და 3⁵ პუნქტებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 თებერვლის №93 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის აბიტურიენტების მიერ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების პროცედურები და ვადები“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კანცელარიას ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა ცენტრის დირექტორის მოადგილეებისათვის, იურიდიული სამსახურისათვის, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისათვის, ლოჯისტიკის სამსახურისათვის, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისა და სამაგისტრო მიმართულებისათვის.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6).

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

სოფიო გორგოძე



უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის ჩატარების პროცედურები და ვადები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

„უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის პირებისათვის ზოგადი უნარების გამოცდის (შემდგომში - გამოცდა/ტესტირება) ჩატარების პროცედურებით და ვადებით (შემდგომში - პროცედურები) განისაზღვრება გამოცდის დაგეგმვის, ჩატარებისა და დასრულების პროცესი (შემდგომში - გამოცდის პროცესი).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ პროცედურების მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ცენტრი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;

ბ) აპლიკანტი - ამ პროცედურებით დადგენილი წესის დაცვით გამოცდაზე დარეგისტრირებული პირი;

გ) ტესტი - ცენტრის მიერ შედგენილი ტესტურ დავალებათა კრებული (შემდგომში - ტესტის ბუკლეტი) და პასუხების ფურცელი (შესავსები ფორმა). ტესტის ბუკლეტი და მასში შემავალი ტესტური დავალებები წარმოადგენს კონფიდენციალურ მასალას;

დ) დაშიფვრის ინდივიდუალური სისტემა - ცენტრის მიერ დადგენილი კოდირების სისტემა, რომლის გამოყენებითაც ხდება პასუხების ფურცლის დაშიფვრა ინდივიდუალური სისტემით;

ე) მაქსიმალური ქულა - ცენტრის მიერ ტესტისთვის მინიჭებული უმაღლესი ქულა;

ვ) საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი - ამონაბეჭდი გამოცდაზე რეგისტრაციის ოფიციალური ვებგვერდის online.naec.ge (შემდგომში - რეგისტრაციის ვებგვერდის) სპეციალური პროგრამიდან, რომლის საფუძველზეც აპლიკანტი დაიშვება გამოცდაზე;

ზ) საგამოცდო ცენტრი - გამოცდის ჩატარების მიზნით, ცენტრის მიერ სპეციალურად მოწყობილი, შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი შენობა ან მისი ცალკეული ნაწილი, რომელშიც მიმდინარეობს ტესტირება;

თ) საგამოცდო სექტორი - საგამოცდო ცენტრის დანაყოფი, სადაც აპლიკანტები განთავსდებიან გამოცდის მიმდინარეობისას;

ო) საპრეტენზიო კომისია – გამოცდის ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი საპრეტენზიო განაცხადების განხილვის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი დროებითი ორგანო;

კ) ტექნიკური კონტროლი – საგამოცდო პროცესზე დაკვირვების მეთოდი ვიდეო-აღჭურვილობის მეშვეობით.

მუხლი 3. გამოცდის ფორმატი, საგამოცდო ცენტრი და საგამოცდო ტერიტორია

1. გამოცდა ტარდება ქართულ ენაზე. გამოცდის ჩატარებას წერილობითი ფორმით, ტესტირების გზით უზრუნველყოფს ცენტრი. სპეციალური საჭიროებების მქონე აპლიკანტებისთვის, ამ პროცედურებით დადგენილ შემთხვევებში და წესით, გამოცდა შესაძლოა ჩატარდეს ელექტრონული ფორმით, სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

2. გამოცდა ტარდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ, ცენტრის მიერ სპეციალურად მოწყობილ შენობაში ან მის ნაწილში.

3. საგამოცდო ცენტრში ყოფნის უფლება აქვს მხოლოდ ცენტრის თანამშრომლებს (რომლებიც საგამოცდო ცენტრში უნდა იმყოფებოდნენ სამკერდე ნიშნით) და იმ პირებს (მაგ. საზოგადოებრივი დამკვირვებელი), რომელთაც აქვთ ცენტრის მიერ გაცემული სპეციალური დოკუმენტი (საშვი). ამ პირების ტესტირებაზე ყოფნამ ხელი არ უნდა შეუშალოს ტესტირების მიმდინარეობას. მათ ეკრძალებათ რაიმე ფორმით აპლიკანტთა დახმარება ან მათი მუშაობისათვის ხელის შეშლა.

4. საგამოცდო სექტორებსა და საგამოცდო ცენტრის სხვა სივრცეებში ვიდეოკამერებისა და ციფრული ჩამწერების დამონტაჟებას/დემონტაჟს ახორციელებს ცენტრი, ცენტრის თანამშრომლების ან ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის მეშვეობით.

მუხლი 4. გამოცდის ჩატარების თარიღი

1. გამოცდა ტარდება კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, ზამთარსა და შემოდგომაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ თარიღში.

2. ფორსმაჟორის ან გამოცდის დაგეგმვისა და ჩატარების დროს ისეთი დაბრკოლების არსებობის შემთხვევაში, რაც გამოწვეული იყო ცენტრის ბრალეულობით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება გამოცდის ჩატარების ახალი ვადა ან/და ადგილი.

მუხლი 5. ტესტი

1. ტესტი შედგება 3 ნაწილისგან:

ა) წაკითხულის გააზრება;

ბ) ლოგიკური მსჯელობა;

გ) რაოდენობრივი მსჯელობა.

2. თითოეულ ნაწილში გაერთიანებულია/შედის 15 არჩევითპასუხებიანი ტესტური დავალება. შესაბამისად, ტესტი სრულად შედგება 45 არჩევითპასუხებიანი ტესტური დავალებისგან.

3. თითოეულ დავალებას აქვს 5 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთი არის სწორი.

4. თითოეულ ტესტურ დავალებაზე გაცემული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი - 0 ქულით.

2. ტესტირებისთვის გამოყოფილი დრო შეადგენს 2 საათსა და 30 წუთს.

მუხლი 6. რეგისტრაცია

1. გამოცდაში მონაწილეობის მიღების საფუძველია პირის განცხადება გამოცდაში მონაწილეობის მიღების შესახებ. განცხადება პირის მიერ ივსება და წარედგინება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში, ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში, ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის www.naec.ge და რეგისტრაციის ვებგვერდის სპეციალური პროგრამის გამოყენებით. პირს სპეციალური პროგრამაში რეგისტრაციისთვის უნდა ჰქონდეს პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტა და საქართველოში რეგისტრირებული მობილური ტელეფონის ნომერი.

2. გამოცდაზე რეგისტრაციის გავლის უფლება აქვს მხოლოდ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის პირებს.

3. პირს სპეციალური პროგრამა არ შეუშვებს სისტემაში, თუ მას წინასწარ გადახდილი არ აქვს გამოცდაში მონაწილეობის საფასური და ის შესაბამის ველში აღნიშვნით არ დაადასტურებს, რომ ეთანხმება ცენტრის მიერ დადგენილ პირობებს და გამოთქვამს მზადყოფნას გააგრძელოს ელექტრონული ფორმით რეგისტრაცია.

4. აპლიკანტი უფლებამოსილია, შევსებულ განცხადებაში ნებისმიერი ცვლილება შეიტანოს მხოლოდ რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე.

5. ელექტრონული ფორმით რეგისტრაციის წარმატებით გავლის თაობაზე, აგრეთვე შევსებულ განცხადებაში ნებისმიერი ცვლილების თაობაზე, აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

6. აპლიკანტი ვალდებულია რეგისტრაციის პროცესში მიუთითოს იმ სპეციალური საჭიროების თაობაზე (ფუნქციონალური დარღვევები, გადამდები ინფექციური დაავადებები და სხვა), რომელიც ცენტრის მხრიდან საჭიროებს სპეციფიკური საგამოცდო გარემოს/პირობების შექმნას. ასეთი მითითების არარსებობისა და ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში შესაბამისი სამედიცინო ცნობის (ფორმა №100) წარუდგენლობის შემთხვევაში, ცენტრი გამოცდის მიმდინარეობისას არ გაითვალისწინებს აპლიკანტის სპეციალურ საჭიროებებს, თუ აღნიშნული საჭიროება აპლიკანტს არ წარმოეშვა რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდგომ.

7. თუ აპლიკანტს სპეციალური საჭიროება წარმოეშვა რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, ცენტრის მხრიდან სპეციფიკური საგამოცდო გარემოს/პირობების შექმნა მოხდება მხოლოდ აღნიშნულის შესაძლებლობის შემთხვევაში და თუ აპლიკანტი სპეციალური

საჭიროების წარმოშობიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა ცენტრს წარუდგენს შესაბამის მოთხოვნას და სამედიცინო ცნობას (ფორმა №100).

8. აპლიკანტთა შესახებ საბოლოო მონაცემთა შეგროვების შემდეგ, გამოცდის დაწყებამდე, რეგისტრაციის ვებგვერდის სპეციალურ პროგრამაში განთავსდება საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელშიც აპლიკანტის პერსონალურ მონაცემებთან ერთად მიეთითება:

- ა) საგამოცდო ცენტრის დასახელება და მისამართი, სადაც აპლიკანტი ჩააბარებს გამოცდას;
- ბ) გამოცდის ჩატარების თარიღი და გამოცდაზე რეგისტრაციის დაწყების დრო.

9. აპლიკანტი უფლებამოსილია გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის განმავლობაში წერილობით მოითხოვოს რეგისტრაციის გაუქმება.

მუხლი 7. გამოცდაში მონაწილეობის საფასური

1. გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად პირმა უნდა გადაიხადოს საფასური, რომლის ოდენობა შეადგენს 100 ლარს.

2. გამოცდაში მონაწილეობის საფასურის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის განმავლობაში. საფასურის თანხის შეტანა ხდება ცენტრის საბანკო ანგარიშზე.

3. გამოცდაში მონაწილეობის საფასური სრულად ბრუნდება, თუ პირი გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის განმავლობაში არ დარეგისტრირდა გამოცდაზე ან გამოცდაზე რეგისტრაციის ვადის განმავლობაში წერილობით მოითხოვა რეგისტრაციის გაუქმება.

4. გამოცდაში მონაწილეობის საფასურის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულზე მეტი ოდენობით გადახდის შემთხვევაში, ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და საფასურის დადგენილ ოდენობას შორის.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, საფასური უბრუნდება საფასურის გადამხდელს (ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში) ან შესაბამის აპლიკანტს.

6. გამოცდაში მონაწილეობის გადახდილი საფასურის დაბრუნების შესახებ ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით განცხადების წარდგენა ხდება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში. საფასურის თანხა ცენტრის მიერ დაბრუნდება განცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

მუხლი 8. ტესტირება

1. ტესტირების დღეს აპლიკანტთა რეგისტრაცია:

ა) აპლიკანტი რეგისტრაციას ვადის მხოლოდ იმ საგამოცდო ცენტრში, რომელიც მითითებული აქვს საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათში, ამავე ბარათში მითითებულ დროს.

ბ) აპლიკანტი რეგისტრაციის გავლამდე სპეციალურად მოწყობილ ადგილას ჩააბარებს პირად ნივთებს (ნებადართული ნივთების გარდა ყველა სხვა ნივთი, რომლის ქონაც აკრძალულია საგამოცდო სექტორში ტესტზე მუშაობის დროს - მაგ. მობილური ტელეფონი და სხვ.), რის შემდეგაც გაივლის რეგისტრაციას ცენტრის თანამშრომელთან, რომელიც საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათში მიუთითებს საგამოცდო სექტორის და ადგილის ნომერს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

გ) აპლიკანტმა რეგისტრაციაზე თან უნდა იქონიოს საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ) აპლიკანტი, რომელიც საგამოცდო ცენტრში გამოცხადდება საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათის ან/და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე - დაშვებული იქნება ტესტირებაზე ცენტრის თანამშრომლის მიერ შესაბამის უწყისში ინფორმაციის გადამოწმებისა და სპეციალური განცხადების შევსების საფუძველზე.

ე) აპლიკანტი არ დაიშვება საგამოცდო სექტორში, თუ სექტორში უკვე დაიწყო საგამოცდო დროის ათვლა. თუ დაგვიანებული აპლიკანტი საგამოცდო სექტორში შემოვიდა ტესტირებაზე მოქცევის წესების კითხვისას, ცენტრის თანამშრომელი წაკითხავს წაკითხული წესების მხოლოდ წინა აზნაგს და გააგრძელებს წესების კითხვას.

2. საგამოცდო სექტორში განთავსება:

ა) რეგისტრაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი უნდა გამოცხადდეს შესაბამის საგამოცდო სექტორში.

ბ) საგამოცდო სექტორში ცენტრის თანამშრომლის მიერ მოწმდება სექტორში შემოსული აპლიკანტის საგამოცდო-საიდენტიფიკაციო ბარათი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც აპლიკანტი იკავებს ადგილს შესაბამის მაგიდასთან.

გ) აპლიკანტი უფლებამოსილია ტესტირებისას გამოიყენოს მხოლოდ ცენტრის მიერ გადაცემული კალამი.

3. ტესტირების მიმდინარეობის დროს აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:

ა) წყალი (პოლიეთილენის ბოთლით);

ბ) პირადი ჰიგიენის ნივთები;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა ნივთები, ცენტრის თანხმობით.

4. ტესტირების მიმდინარეობის დროს აპლიკანტს ეკრძალება:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;

ბ) ტესტირებაზე დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვ. გამოყენება ან აღნიშნულის მცდელობა;

გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება, სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა ან აღნიშნულის მცდელობა;

დ) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ თანხმებ პირთან ერთად;

ე) ნებადართული ნივთების გარდა სამუშაო მაგიდაზე სხვა ნივთების განთავსება;

ვ) მითითების გარეშე ტესტზე მუშაობის დაწყება;

ზ) ტესტირების დროის ამოწურვის შემდეგ მუშაობის გაგრძელება.

5. ტესტირების ინსტრუქციების აპლიკანტისთვის გაცნობა და საგამოცდო პროცედურების დაწყება:

ა) აპლიკანტებისთვის გადაცემულ პასუხების ფურცლებს აკრავს შესაბამის შტრიხკოდს;

ბ) შტრიხკოდის დაკვრის შემდეგ ცენტრის თანამშრომელმა უნდა სთხოვოს აპლიკანტებს, პასუხების ფურცლებზე გადაიტანონ სტანდარტული ფრაზა და შემდგომ თავად გადაამოწმონ;

გ) აპლიკანტი უნდა დარწმუნდეს, რომ მისთვის გადაცემული პასუხების ფურცელი არ არის დაზიანებული, რასაც იგი ადასტურებს საგამოცდო სექტორის უწყისში ხელმოწერით.

დ) აპლიკანტთა რეგისტრაციისთვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ, თუ ცენტრის თანამშრომელი დარწმუნდება იმაში, რომ რეგისტრაციის არეში არ არის სექტორის

აპლიკანტი, აპლიკანტებს უკითხავს ტესტირებაზე მოქცევის წესებს (შეახსენებს იმის თაობაზე, ხომ არ შემოყვამთ ისეთი ნივთები, რომელთა ქონაც საგამოცდო სექტორში ეკრძალებათ (მაგ., მობილური ტელეფონი და სხვა) და სხვა);

ე) ცენტრის თანამშრომელი აპლიკანტების თვალწინ ხსნის ტესტის ბუკლეტების შეკვრას;

ვ) მუშაობის დაწყებამდე აპლიკანტი უნდა დარწმუნდეს, რომ მისთვის გადაცემული ტესტის ბუკლეტი არ არის დაზიანებული;

ზ) ცენტრის თანამშრომელი აპლიკანტს აძლევს მითითებას, რომ გაეცნოს ტესტის ბუკლეტში განთავსებულ ტესტზე მუშაობის წესებს და ტესტირებაზე მოქცევის წესებს;

თ) მას შემდეგ, რაც ცენტრის თანამშრომელი დარწმუნდება, რომ ყველა აპლიკანტმა მოაწერა ხელი საგამოცდო სექტორის უწყისში და არ არსებობს რაიმე სხვა სახის პრობლემა, სექტორში დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. აპლიკანტები ტესტზე მუშაობას იწყებენ მხოლოდ ცენტრის თანამშრომლის მითითების შემდეგ.

6. ტესტურ დავალებაზე მუშაობის პროცესში აპლიკანტს ცენტრი უზრუნველყოფს შესაბამისი კალმით და სხვა საჭირო ნივთებით.

7. ტესტზე მუშაობის პროცესში აპლიკანტს შეუძლია შავი სამუშაოსათვის გამოიყენოს ტესტის ბუკლეტი, რომელიც რჩება საგამოცდო სექტორში (საგამოცდო ცენტრში). ტესტის ბუკლეტი აპლიკანტის ნაშრომის შეფასებისას მხედველობაში არ მიიღება.

8. ცენტრის თანამშრომელი ვალდებულია საგამოცდო დროის ამოწურვამდე 10 წუთით ადრე აცნობოს აპლიკანტებს, რომ საგამოცდო დრო იწურება.

მუხლი 9. სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის ტესტირების სპეციფიკა

1. უსინათლო აპლიკანტებისთვის ტესტირების ჩატარების პროცედურები

1.1. ცენტრი უზრუნველყოფს ბრაილის სისტემით ტესტირების ჩატარებას იმ უსინათლო აპლიკანტებისთვის, რომლებმაც ტესტირებაზე რეგისტრაციის პროცესში მიუთითეს სპეციალური საჭიროების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში წარადგინეს შესაბამისი სამედიცინო ცნობა (ფორმა №100) და მოითხოვეს ბრაილის სისტემით ტესტირების ჩატარება.

1.2. აპლიკანტის საგამოცდო სექტორში განთავსების შემდგომ, ცენტრის თანამშრომელი აპლიკანტს ტესტირების დაწყებამდე განუმარტავს ტესტირების მსვლელობისას მის უფლება-მოვალეობებს (ტესტირებაზე მოქცევის წესებს), ტესტირების ჩატარების/ტესტზე მუშაობის წესებს და უზრუნველყოფს საგამოცდო მასალებით მომარაგებას. ცენტრის თანამშრომელი უზრუნველყოფს, რომ ტესტირების დროის ათვლის დაწყებამდე აპლიკანტს არ ჰქონდეს ტესტზე მუშაობის დაწყების საშუალება.

1.3. ვინაიდან, ბრაილის შრიფტზე მუშაობა საჭიროებს უფრო ხანგრძლივ დროს, ტესტზე მუშაობისათვის აპლიკანტს ეძლევა გაორმაგებული ტესტირების დრო.

1.4. ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი გადაეცემა ცენტრის თანამშრომელს, რომელიც კითხულობს აპლიკანტის მიერ ბრაილის შრიფტით შესრულებულ ნაშრომს ხმამაღლა და დეტალურად, ხოლო წაკითხულის ქართულ ანბანზე ჩაწერას ახორციელებს ცენტრის თანამშრომელი. აღნიშნული პროცედურის დასრულებისთანავე შედგება შესაბამისი ოქმი.

1.5. აპლიკანტს ეძლევა უფლება ტესტურ დავალებებს გაეცნოს ხმოვანი პროგრამის გამოყენებით.

2. ტესტირების ჩატარების პროცედურები იმ ფუნქციონალური დარღვევების მქონე აპლიკანტებისთვის, რომელთაც აღნიშნებათ მოტორული დარღვევები ან/და რომელთაც სხვა მიზეზით შეზღუდული აქვთ მეტყველების ან/და წერის უნარი

2.1. ცენტრი უზრუნველყოფს წინამდებარე პროცედურების გათვალისწინებით ტესტირების ჩატარებას იმ აპლიკანტებისთვის, რომლებმაც ტესტირებაზე რეგისტრაციის პროცესში მიუთითეს სპეციალური საჭიროების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში წარადგინეს შესაბამისი სამედიცინო ცნობა (ფორმა №100) და მოითხოვეს სპეციალური პირობებით ტესტირების ჩატარება.

2.2. აპლიკანტებს, რომელთაც მოტორული დარღვევებისა თუ სხვა ნებისმიერი მიზეზების გამო შეზღუდული აქვთ მეტყველების ან/და წერის უნარი, ცენტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ტესტირება ჩატარდება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) თუ აპლიკანტს შეზღუდული აქვს წერის უნარი, აპლიკანტი კითხულობს დავალებებს და დავალების პასუხებს კარნახობს ცენტრის თანამშრომელს, რომელიც აპლიკანტის პასუხებს წერს პასუხების ფურცელში დეტალურად. აპლიკანტის სურვილის შემთხვევაში, ცენტრის თანამშრომელი პასუხების დეტალურად ჩაწერას თავდაპირველად უზრუნველყოფს შავი სამუშაოსთვის განკუთვნილ გვერდზე/გვერდებზე და მხოლოდ აპლიკანტის მითითების შემთხვევაში ახდენს მის გადაწერას პასუხების ფურცელში.

ბ) ტესტირების პროცესი მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალის სისტემის გამოყენებით. საგამოცდო სექტორში ერთი ვიდეო კამერა ისე უნდა იყოს მიმართული, რომ იწერებოდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ პასუხების ფურცელში ჩაწერილი პასუხები, რაც გამორიცხავს აღნიშნული პირის მიერ შეცდომის დაშვების შესაძლებლობას კარნახით წერისას. ამასთან, ხმოვანი სახით უნდა იწერებოდეს აპლიკანტის კარნახი.

3. ტესტირების ჩატარების პროცედურები იმ აპლიკანტისთვის, რომელსაც გამოცდა უტარდება გაზრდილი შრიფტით

3.1. ცენტრი უზრუნველყოფს წინამდებარე პროცედურების გათვალისწინებით, ტესტირების ჩატარებას იმ პირთათვის, რომლებმაც ტესტირებაზე რეგისტრაციის პროცესში მიუთითეს სპეციალური საჭიროების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში წარადგინეს შესაბამისი სამედიცინო ცნობა (ფორმა №100) და მოითხოვეს სპეციალური პირობებით ტესტირების ჩატარება.

3.2. ტესტირების დაწყებამდე ცენტრის თანამშრომელი აპლიკანტს განუმარტავს ტესტირების მსვლელობისას მის უფლება-მოვალეობებს (ტესტირებაზე მოქცევის წესებს), ტესტირების ჩატარების/ტესტზე მუშაობის წესებს, პასუხების ფურცლის შევსების წესებს. ცენტრის თანამშრომელი უზრუნველყოფს, რომ ტესტირების დროის ათვლის დაწყებამდე აპლიკანტს არ ჰქონდეს ტესტზე მუშაობის დაწყების საშუალება.

3.3. აპლიკანტს გაზრდილი შრიფტით შესაძლოა მიეწოდოს როგორც ტესტის ბუკლეტი, ასევე პასუხების ფურცელი. აპლიკანტისთვის პასუხების ფურცლის გაზრდილი შრიფტით მიწოდების შემთხვევაში, ცენტრის თანამშრომელი უზრუნველყოფს აღნიშნულ პასუხების ფურცელში მითითებული პასუხების დეტალურად გადაწერას/ჩაწერას სტანდარტულ პასუხების ფურცელში, რომელსაც ეკვრება შტრიხკოდი, ილუქება და დასასკანერებლად გადაეცემა ცენტრის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. ტესტირების ჩატარების პროცედურები სმენადაქვეითებული აპლიკანტებისთვის - ცენტრი უზრუნველყოფს წინამდებარე პროცედურების გათვალისწინებით, ტესტირების ჩატარებას იმ პირთათვის, რომლებმაც ტესტირებაზე რეგისტრაციის პროცესში მიუთითეს სპეციალური საჭიროების თაობაზე, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში წარადგინეს შესაბამისი სამედიცინო ცნობა (ფორმა №100) და მოითხოვეს სპეციალური პირობებით ტესტირების ჩატარება.

5. ცენტრის გადაწყვეტილებით, სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტს ტესტზე მუშაობისათვის შესაძლოა მიეცეს გამოცდისთვის ამ პროცედურებით დადგენილზე მეტი დრო ან დაუდგინდეს ტესტირების განსხვავებული პროცედურები.

6. ცენტრი უზრუნველყოფს სპეციალური საჭიროებების მქონე აპლიკანტთა მიერ ტესტირებაზე მოქცევის წესებისა და ტესტზე მუშაობის წესების წერილობითი, ელექტრონული ან/და ზეპირი ფორმით გაცნობას.

მუხლი 10. გამოცდის დასრულება

1. საგამოცდო დროის ამოწურვამდე სამუშაოს დამთავრების შემთხვევაში გამოსაცდელს უფლება აქვს, ტესტის ბუკლეტისა და პასუხების ფურცლის ჩაბარება დაადასტუროს უწყისში ხელმოწერით და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვოს საგამოცდო სექტორი.

2. საგამოცდო დროის ამოწურვის ან გამოსაცდელის მიერ სამუშაოს დასრულების შემდეგ ცენტრის თანამშრომელი ამოწმებს თითოეული გამოსაცდელის ტესტის ბუკლეტის გვერდების რაოდენობას, პასუხების ფურცელზე შტრიხკოდის მთლიანობას, ითვლის გადასწორებული პასუხების (გაფერადებული უჯრების) რაოდენობას და გამოსაცდელის მიერ უწყისში ხელმოწერის შემდეგ იბარებს მათ.

3. ჩაბარებული ტესტის ბუკლეტები და პასუხების ფურცლები იკვრება ცალ-ცალკე, ილუქება და გადაეცემა ცენტრის უფლებამოსილ თანამშრომელს.

მუხლი 11. ნაშრომების გასწორება

1. ცენტრში საგამოცდო ცენტრიდან მიღებული დალუქული პასუხების ფურცლები იხსნება, რეგისტრირდება, ხდება მათი სკანირება და განაწილება.

2. სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი.

3. პასუხების ფურცლები სწორდება კომპიუტერის და საამისოდ გამიზნული სხვა ტექნიკური საშუალებების მეშვეობით.

4. პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოყენებულია სხვა კალამი (კალამი, რომელიც არ არის გადაცემული ცენტრის მიერ) ან რომელიც შეიცავს მაიდენტიფიცირებელ ნიშანს ან რაიმე სახის გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან, არ გასწორდება.

5. ტესტირების დროის ამოწურვის შემდეგ ტესტზე მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში პასუხების ფურცელი არ გასწორდება.

6. ტესტირების შედეგად მიღებული ქულები ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე ტესტირების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რომელიც სპეციალური კოდის გამოყენებით ხელმისაწვდომია მხოლოდ დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 12. ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევა

1. ტესტირების მიმდინარეობის დროს აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას (გაფრთხილება აღინიშნება საგამოცდო უწყისის ოქმში):

ა) ცენტრის თანამშრომლისთვის ტესტის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმის შემთხვევაში;

ბ) ტესტირების პროცესის დროს საუბრის, ერთმანეთთან გადალაპარაკების ან სხვა რაიმე ფორმით ერთმანეთის დახმარების ან აღნიშნულის მცდელობის შემთხვევაში;

გ) სამუშაო ადგილის უნებართვოდ დატოვების შემთხვევაში;

დ) ნებადართული ნივთების გარდა საგამოცდო სექტორში სხვა ნივთების აღმოჩენის შემთხვევაში;

ე) მითითების გარეშე ტესტზე მუშაობის დაწყების შემთხვევაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევის განმეორების შემთხვევაში აპლიკანტი იხსნება ტესტირებიდან, რაც ფიქსირდება სექტორის ოქმშიც და უწყისში და ფორმდება სეციალური ოქმი.

3. აპლიკანტი გაფრთხილების გარეშე შეიძლება მოიხსნას ტესტირებიდან:

ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის (მათ შორის ელექტრონული საათის) აღმოჩენის (თუნდაც გამორთულ მდგომარეობაში) შემთხვევაში;

ბ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების, ფურცლების და სხვათა ტესტირებაზე შეტანის ან/და გამოყენების შემთხვევაში;

გ) წესრიგის უხეში დარღვევის, საგამოცდო პროცესის მონაწილე პირის შეურაცხყოფის ან სხვა მსგავს შემთხვევაში;

დ) ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის შემთხვევაში.

4. აპლიკანტის ტესტირებიდან მოხსნის ფაქტი ფიქსირდება სექტორის ოქმშიც და უწყისშიც და ფორმდება სეციალური ოქმი. მოხსნილი აპლიკანტის ნაშრომი არ გასწორდება/შეფასდება.

მუხლი 13. ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის გასაჩივრება

1. გამოცდის პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე პირი უფლებამოსილია, გამოცდის დღეს 20:00 საათამდე წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი იმ საგამოცდო ცენტრის შენობაში, სადაც ჩააბარა გამოცდა. საპრეტენზიო განაცხადი წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა გადაეცემა საპრეტენზიო კომისიას.

2. ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე წარდგენილი პრეტენზია შეიძლება ეხებოდეს:

ა) პრეტენზიის წარმდგენი აპლიკანტის უფლებების დარღვევას ტესტირების პროცესის მონაწილე სხვა პირის მიერ;

ბ) სხვა აპლიკანტის მიმართ ტესტირების პროცედურის დადგენილი წესის დარღვევას ტესტირების პროცესის მონაწილე სხვა პირის მიერ.

3. გამოცდის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიები განიხილება ცენტრის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ. საპრეტენზიო კომისია იხილავს გამოცდის მხოლოდ პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებულ პრეტენზიებს.

4. საპრეტენზიო კომისიის სხდომას იწვევს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც უძღვება საპრეტენზიო კომისიის სხდომებს, ხოლო მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს მისი მოადგილე.

5. საპრეტენზიო კომისია საპრეტენზიო განაცხადთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს 5 სამუშაო დღის ვადაში. საპრეტენზიო კომისიას უფლება აქვს საკითხი განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საპრეტენზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

6. საპრეტენზიო კომისიის სხდომის საფუძველზე მიიღება საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე. საპრეტენზიო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) პირის მიერ საგამოცდო პროცედურის დარღვევისას - მისი ნაშრომის შეფასების გაუქმების თაობაზე;

ბ) პირის უფლებების დარღვევის დადასტურებისას - მისი ნაშრომის გასწორების/ახალი გამოცდის ჩატარების თაობაზე.

7. ცენტრი საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებას, მისი მიღებიდან ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობებს დაინტერესებულ პირს.

მუხლი 14. გამოცდის წარმატებით ჩაბარება და საბოლოო შედეგები

1. გამოცდის წარმატებით ჩაბარება გულისხმობს ტესტისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 50%-ზე მეტის (მინიმუმ 23 ქულა) დაგროვებას.

2. ცენტრი გასცემს ინფორმაციას მხოლოდ იმის შესახებ, გამოცდაში მონაწილე პირმა გამოცდა ჩააბარა თუ არა წარმატებით.

3. პირის მიერ გამოცდის ჩაბარების შემდგომ, შესაბამისი გამოცდის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება:

ა) იმ აპლიკანტების სია, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს გამოცდა;

ბ) იმ აპლიკანტების სია, რომელთაც ვერ ჩააბარეს გამოცდა.

4. სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე ცენტრი უზრუნველყოფს, გამოცდაში მონაწილე „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კატეგორიის პირების თაობაზე ინფორმაციის სამინისტროსთვის მიწოდებას.

მუხლი 15. პასუხების ფურცლებისა და ტესტის ბუკლეტების განადგურების პროცედურები

1. ცენტრი, ტესტირების ჩატარებიდან 12 თვის შემდეგ, უზრუნველყოფს გამოცდაზე გამოყენებული პასუხების ფურცლების განადგურებას.

2. ცენტრი, ტესტირების ჩატარებიდან 1 თვის შემდეგ, უზრუნველყოფს გამოცდაზე გამოყენებული ტესტის ბუკლეტების განადგურებას.

ქ. თბილისი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 52¹ მუხლის მე-7 პუნქტისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესი“.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარმოდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 სექტემბრის №725 ბრძანება.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშვინი

დანართი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 ივლისის ბრძანება №91/6 - ვებგვერდი, 11.07.2013წ.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესი

მუხლი 1. წესის მიზანი

1. ამ წესის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა/მაგისტრანტების კანდიდატთა ჩარიცხვისა და სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, აბიტურიენტებს/მაგისტრანტების კანდიდატებს/სტუდენტებს უფლება აქვთ ისწავლონ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე.

მუხლი 2. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებისათვის/მაგისტრანტების კანდიდატებისათვის/სტუდენტებისათვის დაწესებული მოთხოვნები

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა, ამ წესის შესაბამისად დასაშვებია:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც ამ მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ,



სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა, ამ წესის შესაბამისად დასაშვებია:
ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

ბ¹) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც ამ მუხლის მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;

დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის უფლება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ამ წესის შესაბამისად დასაშვებია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გასაგრძელებლად. აღნიშნული პროგრამა არის 60-კრედიტიანი, მისი გავლა შესაძლებელია მხოლოდ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში და მისი დასრულების შემდეგ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გასცემს ამ პროგრამის დასრულების დამადასტურებელ სერტიფიკატს. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები თავიანთი არჩევანის შესაბამისად, სწავლას აგრძელებენ იმავე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით.

3¹) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პირების პროგრამის ენის ცოდნის დადგენის მიზნით ჩაატაროს გასაუბრება და უზრუნველყოს აღნიშნული გასაუბრების ვიდეოჩანაწერის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა.

3². ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში – გამოცდების ცენტრი) მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის (შემდგომში – გამოცდა) წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

3³. გამოცდის დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით გამოცდების ცენტრი უზრუნველყოფს ტესტური დავალებების შემუშავებას და დავალებათა ბაზების ფორმირებას, რომელიც წარმოადგენს კონფიდენციალურ მასალას. გამოცდის წარმატებულად ჩაბარება გულისხმობს ტესტში, გამოცდების ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილი ოდენობის ქულების დაგროვებას.

3⁴. გამოცდა ტარდება ამ პუნქტით დადგენილი პირობების და გამოცდების ცენტრის მიერ განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების შესაბამისად, კერძოდ:

ა) გამოცდა ჩატარდება წელიწადში ორჯერ;
ბ) გამოცდა ტარდება წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით, ტესტირების გზით. ელექტრონული ფორმით ტესტირების ჩატარების შემთხვევაში, ტესტირება ტარდება სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით;

გ) გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად პირმა უნდა გადაიხადოს საფასური, რომლის ოდენობა შეადგენს 100 ლარს. საფასურის გადახდის, აგრეთვე საფასურის დაბრუნების პირობები დგინდება გამოცდების ცენტრის მიერ;

დ) გამოცდის ჩატარების მიზნით, გამოცდების ცენტრი ქმნის გამოცდაზე დარეგისტრირებულ და გამოცდაში მონაწილე პირთა მონაცემთა ბაზას.

3⁵. სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე გამოცდების ცენტრი უზრუნველყოფს, გამოცდაში მონაწილე ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის თაობაზე ინფორმაციის სამინისტროსთვის მიწოდებას.

3⁶. გამოცდების ცენტრის მიმართვის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულება გამოცდის ჩატარებისთვის უზრუნველყოფს მათ სარგებლობაში არსებული შენობებიდან საჭირო ფართის გამოყოფას.

4. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ განცხადებით



მიმართონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში – ცენტრი).

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ აგრეთვე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო).

6. ცენტრში განცხადებით მიმართვა ხდება ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ცენტრის ვებგვერდზე და რომლის მიღება ასევე შესაძლებელია ცენტრში.

7. ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ ამ წესით დადგენილი პროცედურების თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართონ ცენტრს ან სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს.

8. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველებმა განცხადებას უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) უცხო ქვეყანაში მიღებული სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირის მიერ არჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით);

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეების განცხადებას ასევე უნდა დაერთოს სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წლის განმავლობაში უცხო ქვეყანაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნაცვლად განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ამ პუნქტის „ა“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

9. საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე სწავლის გაგრძელების მსურველებმა განცხადებას უნდა დაურთონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირის მიერ არჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით);

დ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ბ¹“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ნაცვლად განცხადებას უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ¹) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა საქართველოს მოქალაქეებმა ამ პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციის გარდა, განცხადებას ასევე უნდა დაურთონ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი (რეგისტრაციის ცნობა, ბინადრობის დამადასტურებელი ცნობა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს მოქალაქის უცხო ქვეყანაში ცხოვრების ფაქტს. უცხო ქვეყანაში ცხოვრება გულისხმობს უცხო ქვეყანაში ყოფნას არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში).

ე) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა ამ პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა უნდა წარმოადგინონ:

ე.ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომისა და დიპლომის დანართის ასლები;

ე.ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი, რომელიც ადასტურებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე პირის ამ მუხლის პირველი



პუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვას;

ვ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა ამ პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა უნდა წარმოადგინონ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით ჩარიცხვის შედეგად მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ასლი.

10. მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადებას მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნაცვლად უნდა დაერთოს ბინადრობის მოწმობის ასლი.

11. უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ.

12. ცენტრი, განმცხადებლის მითითების საფუძველზე, ვალდებულია უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის/საქართველოში მიღებული შესაბამისი უმაღლესი განათლების ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტის გამოცემისთანავე, ეს დოკუმენტი განცხადებასა და მასზე თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გადაუგზავნოს სამინისტროს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 28 ნოემბრის ბრძანება № 189/ 5 - ვებგვერდი, 29.11.2013წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 12 ნოემბრის ბრძანება №151/5 - ვებგვერდი, 12.11.2014წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №36/ 5 - ვებგვერდი, 18.05.2016 წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 11 ივნისის ბრძანება №90/5 - ვებგვერდი, 12.06.2018წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №24/5 - ვებგვერდი, 30.08.2018წ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №63/5 - ვებგვერდი, 27.12.2018წ.

მუხლი 3. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვა

1. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისობას ამ წესის მე-2 მუხლის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტების მოთხოვნებთან ამოწმებს სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში განმცხადებელს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, არაუმეტეს 3 თვისა.

2. თუ განმცხადებელი ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

3. სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურისგან გამოითხოვს ცნობას ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „დ“ და მე-2 პუნქტის „ბ¹“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა/გადმოკვეთის შესახებ.

3¹. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცნობით არ დასტურდება ამ წესის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით ან ამავე მუხლის მე-9 პუნქტის „დ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებში მითითებულ ვადებში ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ¹“ პუნქტით განსაზღვრული საქართველოს მოქალაქეების მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა/გადმოკვეთის ფაქტი, ასევე საქართველოს მოქალაქეების მიერ ამ წესის მე-2 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით ან ამავე მუხლის მე-9 პუნქტის „დ¹“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი ეყრდნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებულ ინფორმაციას.

4. სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი (შემდგომში - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი) განცხადების ამ წესის მე-2 მუხლთან შესაბამისობას იხილავს მისი შემოტანიდან ან ხარვეზის გამოსწორებიდან საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ დადგენილ ვადებში და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში აღნიშნული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, წარუდგენს რეკომენდაციას გარდა ამ მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი/უფროსის მოვალეობის შემსრულებელი უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის მიერ რეკომენდაციის წარდგენიდან 7 დღის ვადაში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს გადაწყვეტილებას აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე. უმაღლესი განათლებისა



და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის/უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეგზავნება შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

4¹. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ბ¹“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირების განცხადების ამ წესთან შესაბამისობას იხილავს მისი შემოტანიდან ან ხარვეზის გამოსწორებიდან საქართველოს კანონით „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ დადგენილ ვადებში და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსს/უფროსის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგენს რეკომენდაციას მას შემდეგ, რაც ცენტრი სამინისტროს წარუდგენს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ამ პირის სწავლის პერიოდში მიღწეული შედეგების საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების დოკუმენტს.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია მოახდინოს ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვა ერთი წლის ვადაში ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელის აქტი აისახება ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 17 მაისის ბრძანება №36/ ნ - ვებგვერდი , 18.05.2016წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის ბრძანება №171/ნ - ვებგვერდი, 27.12.2016წ.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

გამოცდების ცენტრი გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს 2019 წლიდან.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №24/ნ - ვებგვერდი, 30.08.2018წ.

